# საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ბრძანება N 01-02/221

ქ. ბათუმი                                                    12 სექტემბერი, 2022 წ.

*2022-2023 სასწავლო წლისათვის ზოგიერთი სასწავლო კურსის განმახორციელებელი მასწავლებელთან პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ*

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის №06-01/55 დადგენილების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 16 აგვისტოს 07 სექტემბრის MES 7 22 0001021734 და დეკანის მოადგილის 2022 წლის 06 სექტემბრის MES 9 22 0001013708, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 6 სექტემბრის MES 1 22 0001006500, 2022 წლის 07 სექტემბრის MES 6 22 0001017503 და MES 7 22 0001021149, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 07 სექტემბრის MES 8 22 0001021834, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 05 სექტემბრის MES 1 22 0001001406, ამავე ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის ხელმძღვანელის 2022 წლის 07 სექტემბრის MES 4 22 0001017024 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

*ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:*

1. 2022-2023 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით, გამოცხადდეს ღია კონკურსი პერსონალის (მასწავლებელთა/სპეციალისტთა) შესარჩევად **N1 დანართის** შესაბამისად (ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის ვაკანტური სასწავლო კურსები, ლექცია/ჯგუფში მუშაობა, ჩატარების ადგილი, შესასრულებელი სამუშაო საათობრივი დატვირთვის ოდენობა და შესრულების სემესტრი).
2. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსანტებმა ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარიის) მეშვეობით უნდა წარმოადგინონ:
   ა) განცხადება (შევსებული თანდართული ფორმის - **N2 დანართის** შესაბამისად);
   ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
   გ) უმაღლესი განათლების/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების ასლი/ასლები;
   დ) ავტობიოგრაფია (CV - შევსების თარიღის მითითებით და ხელმოწერილი);

ე) ფერადი ფოტო (ზომა ¾).

3. განისაზღვროს შემდეგი საკონკურსო ვადები:

ა) **საკონკურსო განაცხადისა და დოკუმენტაციის წარმოდგენა** - 2022 წლის 13, 14 სექტემბერი, 10:00-დან 16:00 საათამდე, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით;

ბ) **კონკურსის ჩატარება** (დოკუმენტაციის შეფასება/შემოწმება, კონკურსანტებთან გასაუბრება/საჭიროების შემთხვევაში საცდელი ლექციის ან ჯგუფში მუშაობის ჩატარება, ვაკანტური საათების- შესასრულებელი სამუშაო დატვირთვის შესაბამისად) - **2022 წლის 15 სექტემბერი. საკონკურსო კომისიის მიერ განისაზღვროს** კონკურსანტთა სია, რომლებიც დაშვებული იქნებიან გასაუბრებაზე ან/და საჭიროების შემთხვევაში მოეთხოვებათ საცდელი ლექციის ან ჯგუფში მუშაობის ჩატარება (შესასრულებელი სამუშაო დატვირთვის სახის შესაბამისად) და მისი ჩატარების დროის და ადგილის შესახებ აცნობოს შესაბამის კონკურსანტებს ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის (კონკურსების ველის) მეშვეობით, გასაუბრების/საცდელი ლექციის ჩატარებამდე არაუგვიანეს 1 დღით ადრე (დასაშვებია კონკურსანტის CV-ში მითითებულ სატელეფონო ნომერზე შეტყობინება ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ინფორმირება);

გ) საკონკურსო კომისიების მიერ **საკონკურსო შედეგების საჯარო გამოცხადება** ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის და შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფის მეშვეობით - არაუგვიანეს **2022 წლის 15 სექტემბერი;**

დ) კონკურსანტთა სააპელაციო საჩივრების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღება ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარიის) მეშვეობით - **2022 წლის 16 სექტემბერი,** 10:00 საათიდან 12:00 საათამდე;

ე) კონკურსანტთა სააპელაციო საჩივრების (პრეტენზიების) განხილვა და საბოლოო შედეგების გამოცხადება ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით - არაუგვიანეს **2020 წლის 16 სექტემბერი;**

4. კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმდეს 2022-2023 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით შესაბამის ფაკულტეტზე პერსონალის მოწვევისა და მათი აკადემიური (სამუშაო) დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის აქტის გამოცემის შემდეგ (შრომითი ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება მოწვეული პირის აკადემიური (სამუშაო) დატვირთვის შესაბამისი სემესტრის/სემესტრების ხანგრძლივობის შესაბამისად. **დასაშვებია:** ა) კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტი არ იქნეს მოწვეული შრომითი ხელშეკრულების გასაფორმებლად, თუკი არ შედგა სტუდენტთა ჯგუფი ან სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული სხვა მიზეზით; ბ) კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტისათვის შეთავაზებული იქნეს შესაბამისი მიმართულებით სხვა სასწავლო კურსების/განსხვავებული შრომითი დატვირთვის შესრულება, ვიდრე ეს კონკურსის გამოცხადების აქტში იყო მითითებული.)
5. წინამდებარე ბრძანების საფუძველზე შერჩეული პერსონალის შრომა ანაზღაურდება საათობრივად, აკადემიური (სამუშაო) დატვირთვის ბრძანებისა და შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 27 ოქტომბრის N01-11/73 ბრძანებით განსაზღვრული ტარიფით (ერთი აკადემიური საათი (50 წუთი) - დოქტორის ხარისხის არმქონე სპეციალისტისათვის/მასწავლებლისათვის - 13 ლარით, ხოლო დოქტორის ხარისხის მქონე სპეციალისტისთვის/უფროსი მასწავლებლისთვის - 14 ლარით).

6. კონკურსის შედეგად გამარჯვებული დასაქმებული ვალდებულია, მისი შრომითი (აკადემიური) დატვირთვის გათვალისწინებით, შეასრულოს ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი ფუნქციები, **მათ შორის:**

ა) ლექციის/პრაქტიკულის/სემინარის/ჯგუფში სამუშაოს/ლაბორატორიული სამუშაოს დაგეგმვა, მომზადება და ჩატარება, დატვირთვის ბრძანებისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით;

ბ) შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკითხების მომზადება და საგამოცდო ნაშრომების გასწორება;

გ) ბსუ-ს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა, რაც გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან, შრომითი ხელშეკრულებიდან, ბსუ-ს შინაგანაწესიდან, ეთიკის კოდექსიდან, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესიდან".

7. შეიქმნას საკონკურსო კომისიები ფაკულტეტების/დარგობრივი დეპარტამენტების მიხედვით, წინამდებარე ბრძანების N3 **დანართის** შესაბამისად და დამტკიცდეს მათი მუშაობის თანდართული წესი, წინამდებარე ბრძანების N4 **დანართის შესაბამისად.**

8. ბსუ-ს ფაკულტეტის დეკანებს დაევალოს 2022 წლის 19 სექტემბრის ჩათვლით უზრუნველყონ 2022-2023 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს პერსონალის/ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული პირებისა და გამარჯვებული კონკურსანტების საათობრივი აკადემიური (სამუშაო) დატვირთვის განსაზღვრის შესახებ სამსახურებრივი ბარათების წარმოდგენა (ინდივიდუალური სამუშაო დატვირთვის ფორმები შედგენილი და ხელმოწერილი იქნეს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ რეკომენდებული/მიწოდებული ფორმის შესაბამისად).

9. დაევალოს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების ტექსტის მომზადება და ვებგვერდზე განთავსებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის მიწოდება.

10. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე, ხოლო საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) - ამ სამსახურთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე.

11. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ, ქალბატონმა თამარ სირაძემ.

12. წინამდებარე ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი მერაბ ხალვაში

*„2022-2023 სასწავლო წლისათვის ზოგიერთი სასწავლო კურსის განმახორციელებელი მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“*

01-02/221

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 12 სექტემბრის N----- ----ბრძანების

დანართი 1

ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების ვაკანტური სასწავლო კურსები ფაკულტეტების, დარგობრივი დეპარტამენტებისა და 2022-2023 სასწავლო წლის სემესტრების მიხედვით

1. იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

| № | საგანმანათლებლო პროგრამა | სასწავლო კურსი | საათობრივი სამუშაო დატვირთვა და შესასრულებელი სამუშაოს სახე | | სულ | სასწავლო კურსის განხორციელების პერიოდი/სამუშაო ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ლექცია | ჯგ/მუშაობა | | |
| | სოციალურ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტი | | | | | |
| 1. | ფსიქოლოგია | სოციალური მუშაობის საფუძვლები | 15 | 30 | 45 | შემოდგომა/გაზაფხულის სემესტრი / ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 2 | ფსიქოლოგია | პროფესიული ეთიკა | 15 | 30 | 45 | შემოდგომა/გაზაფხულის სემესტრი / ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 3 | ფსიქოლოგია | ფსიქოლოგია | 15 | 15 | 30 | შემოდგომა/გაზაფხულის სემესტრი / ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | ფსიქოლოგია | ფსიქიატრია | 15 | 30 | 45 | შემოდგომა/გაზაფხულის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 5 | ფსიქოლოგია | კლინიკურ-ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება | 15 | 15 | 30 | შემოდგომა/გაზაფხულის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 6 | ფსიქოლოგია | ფსიქიკური ჯანმრთელობა და აშლილობები | 15 | 15 | 30 | შემოდგომა/გაზაფხულის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 7 | ფსიქოლოგია | სამეცნიერო წერა | 15 | 15 | 30 | შემოდგომა/გაზაფხულის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 8 | ფსიქოლოგია | კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში (თვისებრივი და რაოდენობრივი) | 15 | 15 | 30 | შემოდგომა/გაზაფხულის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 9 | ფსიქოლოგია | ქცევითი თერაპიის დამატებითი ალტერნატიული მეთოდები აუტისტური სპექტრის ბავშვებთან | 15 | 15 | 30 | შემოდგომა/გაზაფხულის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 10 | ფსიქოლოგია | ნევროლოგია | 15 | 15 | 30 | შემოდგომა/გაზაფხულის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | ფსიქოლოგია | ფსიქოონკოლოგია | 15 | 15 | 30 | შემოდგომა/გაზაფხულის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 12 | კლინიკური ფსიქოლოგია | ფსიქოფიზიოლოგია | 15 | 15 | 30 | შემოდგომა/გაზაფხულის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| | სამართლისა და საჯარო მმართველობის დარგობრივი დეპარტამენტი | | | | | |
| 1 | სამართალმცოდნეობა | რომის კერძო სამართალი | 15 | 15+15 | 45 | შემოდგომის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 2 | ევროპისმცოდნეობა | ევროპის სამართალი | 15 | 30 | 45 | გაზაფხულის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 3 | სამართალმცოდნეობა | სახელმწიფო შესყიდვები | 15 | 15 | 30 | შემოდგომის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 4 | ეკონომიკა | დემოკრატია და მოქალაქეობა | 15 | 30+30 | 75 | შემოდგომის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 5 | საჯარო მმართველობა | ელექტრონული და ღია მმართველობა | | 30 | 30 | შემოდგომის სემესტრი /<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 6 | საჯარო მმართველობა | გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგიები | | 30 | 30 | გაზაფხულის სემესტრი /<br><br>ქ. ბათუმი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 7 | სამართალმცოდნეობა | კაზუსის ამოხსნის მეთოდები ადამიანის უფლებათა სამართალში | 15 | 30 | 45 | შემოდგომის სემესტრი / ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 8 | სამართალი | შედარებითი კონკურენციის სამართალი | 15 | 15 | 30 | შემოდგომა/გაზაფხულის სემესტრი ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 9 | სამართალმცოდნეობა | საკონსტიტუციო სამართალწარმოება | 15 | 30 | 45 | შემოდგომის სემესტრი / ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| | საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტი | | | | | |
| 1 | საერთაშორისო ურთიერთობები | საერთაშორისო ურთიერთობების საფუძვლები | | 30 | 30 | შემოდგომის სემესტრი / ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |

## 3.ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

| № | საგანმანათლებლო პროგრამა | სასწავლო კურსი | საათობრივი სამუშაო დატვირთვა და შესასრულებელი სამუშაოს სახე | | სულ | სასწავლო კურსის განხორციელების პერიოდი/სამუშაო ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ლექცია | ჯგ/მუშაობა | | |
| 1 | ბსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები | ინგლისური ენა | | 1320 | 1320 | შემოდგომის /გაზაფხულის სემესტრი ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 2 | კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი | საინფორმაციო სისტემები II | | 180 | 180 | შემოდგომის /გაზაფხულის სემესტრი ქ. ბათუმი |

| | | | | | | ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
|---|---|---|---|---|---|---|

## 2.საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

| № | საგანმანათლებლო პროგრამა | სასწავლო კურსი | საათობრივი სამუშაო დატვირთვა და შესასრულებელი სამუშაოს სახე | | სულ | სასწავლო კურსის განხორციელების პერიოდი/სამუშაო ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ლექცია | ჯგ/მუშაობა | | |
| | | | კლინიკური მედიცინის დეპარტამენტი | | | |
| 1 | მედიცინა | ფტიზიატრია (არჩევითი) | 5 | 25 | 30 | შემოდგომის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 2 | მედიცინა | კლინიკური უნარები 5 - ლაბორატორიული დიაგნოსტიკა (კლინიკური ინტერპრეტაციით) | | 10 (ლაბორატორიული) | 10 | შემოდგომის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 3 | რეაბილიტაცია | კინეზოთერაპია | 15 | 45 | 60 | გაზაფხულის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 4 | რეაბილიტაცია | რაიტთერაპია | 10 | 20 | 30 | გაზაფხულის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 5 | რეაბილიტაცია | ნუტრიციოლოგია | 10 | 20 | 30 | გაზაფხულის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| | | | საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მტკიცებითი მედიცინის დეპარტამენტი | | | |
| 1 | ფიზიკური მედიცინა და | ოკუპაციური თერაპია | 10 | 20 | 30 | II კურსი, გაზაფხულის |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სამედიცინო რეაბილიტაცია | | | | | სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 2 | ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაცია | ოკუპაციური თერაპია | 10 | 20 | 30 | IV კურსი , გაზაფხულის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| სტომატოლოგიის დეპარტამენტი | | | | | | |
| 1 | სტომატოლოგია | ყბა-სახის კლინიკური ანატომია ანესთეზიებით | | 45 | 45 | გაზაფხულის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 2 | სტომატოლოგია | სტომატოლოგიური კლინიკის მართვა | | 35 | 35 | გაზაფხულის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| ბიოლოგიის დეპარტამენტი | | | | | | |
| 1 | ბიოლოგია (სამაგისტრო პროგრამა) | ზოოტოქსიკოლოგია | | 30 | 30 | შემოდგომის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 2 | ბიოლოგია | ზღვის ბიომრავალფეროვნება | | 20 | 20 | შემოდგომის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 3 | ბიოლოგია | გამოყენებითი ჰიდრობიოლოგია | | 30 | 30 | შემოდგომის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 4 | ბიოლოგია | სასწ.საველე პრაქტიკა ზღვის ბიოლოგიაში | | 30 | 30 | გაზაფხულის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 5 | ბიოლოგია | ჰიდროფაუნა | 10 | 30 | 40 | შემოდგომის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 6 | ბიოლოგია | საწარმოო/ლაბორატორიული პრაქტიკა ( ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამა) | | 30 | 30 | შემოდგომის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 7 | ბიოლოგია | საწარმოო პრაქტიკა (ეკოლოგიის სამაგისტრო პროგრამა) | | 30 | 30 | შემოდგომის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 8 | ბიოლოგია | გეოინფორმატიკული სისტემები | | 60 (30 სთ სამაგისტრო პროგრამაზე და 30 სთ სადოქტორო პროგრამაზე) | 60 | შემოდგომის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 9 | ბიოლოგია | ადამიანის ნორმალური ანატომია | | 114 (ლაბორატორიული) | 114 | შემოდგომის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 10 | ბიოლოგია | დარგობრივი ლიტერატურის ძიება და ანალიზი | 13 | 37 | 50 | შემოდგომის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 11 | ბიოლოგია | ცოცხალის უჯრედული და ქსოვილური ორგანიზაციის საფუძვლები | 15 | 30 | 45 | გაზაფხულის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | ბიოლოგია | ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები | 10 | 10 | 20 | შემოდგომის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 13 | ბიოლოგია | სამედიცინო გენეტიკის ასპექტები | | 15 | 15 | შემოდგომის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 14 | ბიოლოგია | მოლეკულური ბიოლოგია | | 45 | 45 | შემოდგომის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 15 | ბიოლოგია | ემბრიოლოგია | | 17 (ლაბორატორიული) | 17 | გაზაფხულის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 16 | ბიოლოგია | ადამიანის ინდივიდ. განვითარების ეტაპები | | 20 | 20 | შემოდგომის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 17 | ბიოლოგია | სასწავლო საველე პრ. - რეკრეაციული რესურსები | | 25 | 25 | შემოდგომის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 18 | ბიოლოგია | საწარმოო პრაქტიკა (ეკოლოგიის სამაგისტრო) | | 10 | 10 | გაზაფხულის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფარმაციის დარგობრივი დეპარტამენტი | | | | | | |
| 1 | ფარმაცია | პრაქტიკა ფარმაცევტულ ტექნოლოგიებში | | 45 | 45 | გაზაფხულის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 2 | ფარმაცია | ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა | 10 | 35 | 45 | შემოდგომის<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 3 | ფარმაცია | მზა წამალთფორმების ტექნოლოგია | 30 | 60 | 90 | შემოდგომის<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |

4.ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

| № | საგანმანათლებლო პროგრამა | სასწავლო კურსი | საათობრივი სამუშაო დატვირთვა და შესასრულებელი სამუშაოს სახე | | სულ | სასწავლო კურსის განხორციელების პერიოდი/სამუშაო ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ლექცია | ჯგ/მუშაობა | | |
| ევროპეისტიკის დარგობრივი დეპარტამენტი | | | | | | |
| 1 | ინგლისური ფილოლოგიის დამატებითი სპეციალობა | ინგლისური ენა - A2/B1.1 | | 180 | 180 | შემოდგომის/სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/32 |
| 2 | ინგლისური ფილოლოგიის დამატებითი სპეციალობა | ინგლისური ენა - B1.1/B1.2 | | 180 | 180 | გაზაფხულის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის 35/3235/32 |
| 3 | ინგლისური | პრაქტიკული | | 90 | 90 | გაზაფხულ |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ფილოლოგიის დამატებითი სპეციალობა | გრამატიკა - A 2.1/B 1.1 | | | | ის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილი ს/რუსთავე ლის 35/32 |
| 4 | ინგლისური ფილოლოგიის დამატებითი სპეციალობა | პრაქტიკული გრამატიკა - A2.2./B1.2 | | 90 | 90 | გაზაფხულ ის სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილი ს/რუსთავე ლის 35/32 |
| ფილოსოფიის დარგობრივი დეპარტამენტი | | | | | | |
| 1 | ფილოსოფია | შესავალი კურსი ფილოსოფიაში | 30 | 30 | 60 | შემოდგომი ს სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილი ს/რუსთავე ლის 35/32 |
| ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარმანეტი | | | | | | |
| 1 | ციფრული მედია და ინოვაციები | ციფრული მედია | 15 | 15 | 30 | შემოდგომი ს/სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილი ს/რუსთავე ლის 35/32 |
| 2 | ციფრული მედია და ინოვაციები | რეპორტინგი ციფრულ მედიაში | 15 | 15 | 30 | შემოდგომი ს/სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილი ს/რუსთავე ლის 35/32 |
| 3 | ციფრული მედია და ინოვაციები | კიბერკულტურა და ჟურნალიზმი | 15 | 15 | 30 | შემოდგომი ს/სემესტრი<br><br>ქ. ბათუმი ნინოშვილი ს/რუსთავე ლის 35/32 |

*„2022-2023 სასწავლო წლისათვის ზოგიერთი სასწავლო კურსის განმახორციელებელი მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“*

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 12 სექტემბრის N01-02/221 ბრძანების

*დანართი N2*

*კონკურსანტის განცხადების ფორმა*

*ბსუ-ს რექტორს, ბატონ მერაბ ხალვაშს*

.

.................................................................................................

*(კონკურსანტის სახელი, გვარი)*

*განცხადება*

*მსურს მონაწილეობა მივიღო საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბსუ-ს) ...................................................................................................................................................... .........................................ფაკულტეტის.......................................................................................................... ......................................................................................................................................................*

*(მიუთითეთ ვაკანტური სასწავლო კურსი (ები))*

*---------- სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის შესარჩევ კონკურსში.*

*ვადასტურებ, რომ გავეცანი და ვეთანხმები ბსუ-ს წესდებას, ბსუ-ს შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს, „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებას დ ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს.*

*განცხადებას თან ერთვის: 1. პირადობის მოწმობის (ან პასპორტი) ასლი;*

*2.. ფერადი ფოტოსურათი (3/4);*

*3. CV (შევსებული უახლესი ინფორმაციით და ხელმოწერილი ყოველ გვერდზე);*

*4. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ბაკალავრის, მაგისტრის, დოქტორის)*

*(ხაზი გაუსვით, რომელიც თან ერთვის განცხადებას))*

*სათანადო წესით დამოწმებული ასლი;*

*ხელმოწერა:................................................*

*თარიღი:....................................................*

*საკონტაქტო ინფორმაცია (ფაქტობრივი და რეგისტრაციის მისამართი)*

.......................................................................................................................................................

*ტელეფონი: ------------------------------------*

*ელ.ფოსტა:* ---------------------

*„2022-2023 სასწავლო წლისათვის ზოგიერთი სასწავლო კურსის განმახორციელებელი მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“*

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 12 სექტემბრის N01-02/221 ბრძანების

დანართი 3

# საკონკურსო/საპრეტენზიო კომისიები

(ფაკულტეტების/დარგობრივი დეპარტამენტების მიხედვით)

## იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**საკონკურსო კომისია:**

1. პროფესორი ლევან ჯაყელი - თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი რუსუდან კეჭაყმაძე - მდივანი;
3. ასოცირებული პროფესორი ომარ ფარტენაძე - წევრი;
4. ასისტენტ-პროფესორი ირინე ცინცაძე - წევრი.

**სააპელაციო კომისია:**

1. პროფესორი მურმან გორგოშაძე - თავმჯგომარე;
2. ასოცირებული პროფესორი ნატალია ლაზბა - მდივანი;
3. ასოცირებული პროფესორი ქეთი ზერიძე - წევრი;

## ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ევროპეისტიკის დეპარტამენტი:

1. ასოცირებული პროფესორი თეა შავლაძე - თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი ნათია ქათამაძე - მდივანი;
3. პროფესორი ირინე გოშხეთელიანი -წევრი.

სააპელაციო კომისია:

1. ასოცირებული პროფესორი-ლალი თავაძე;
2. .ასოცირებული პროფესორი-ივდით დიასამიძე;
3. .ასოცირებული პროფესორი-ნანა მაზნიშვილი.

ფილოსოფიის დეპარტამენტი:

1. ასოცირებული პროფესორი ვარდო ზერიძე - თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი გიორგი მასალკინი - მდივანი;
3. პროფესორი ლალი ზაქარაძე- წევრი.

საპელაციო კომისია:

1. ასოცირებული პროფესორი ლალი ანთიძე-თავმჯდომარე
2. . ასისტენტ-პროფესორი ირმა ბაგრატიონი-მდივანი
3.პროფესორი მიხეილ მახარაძე-წევრი

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი:

1.ასოცირებული პროფესორი ინგა შამილიშვილი - თავმჯდომარე;

2. ასოცირებული პროფესორი მზია ხახუტაიშვილი - მდივანი.

3.ასოცირებული პროფესორი ნათია ქათამაძე

საპელაციო კომისია:

1.პროფესორი მაია ბარამიძე - თავმჯდომარე

2.ასოცირებული პროფესორი - ნანა ცეცხლაძე - მდივანი

3. პროფესორი მაია კიკვაძე - წევრი

ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ბსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები

კომისიის წევრები:

1. ასისტენტ-პროფესორი ნინო სამნიძე - თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი თათია ნაკაშიძე-მახარაძე - მდივანი;
3. ასისტენტ-პროფესორი თეონა თედორაძე - წევრი;

საპელაციო კომისია :

1. ასისტენტ-პროფესორი მედეა დიასამიძე - თავმჯდომარე
2. ასოცირებული პროფესორი ნელი ახვლედიანი - მდივანი

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი:

1.ასოცირებული პროფესორი მიხეილ დონაძე - კომისისი თავმჯდომარე;

2.ასოცირებული პროფესორი გულადი ფარტენაძე - კომისის წევრი;

3.ასოცირებული პროფესორი ვახტანგ ბერიძე - კომისიის მდივანი.

საპელაციო კომისია :

1.ასოცირებული პროფესორი იზოლდა ჯაბნიძე-თავმჯდომარე;

2.ასისტენტ-პროფესორი ლეილა დიასამიძე-მდივანი;

3. ასოცირებული პროფესორი ნანა მამულაძე-წევრი.

## საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

**საკონკურსო კომისია:**

**საბუნებისმეტყველო მიმართულება**

1. პროფესორი დავით ბარათაშვილი-თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი მაია ვანიძე-მდივანი;
3. პროფესორი ანთაზ ქიქავა-წევრი.

**ჯანდაცვის მიმართულება**

1. პროფესორი კახაბერ ქაშიბაძე-თავმჯომარე;
2. ასოცირებული პროფესორი მზია ბაქრაძე-მდივანი;
3. პროფესორი სალომე ღლონტი-წევრი;
4. პროფესორი სოფიო ბერიძე-წევრი.

საპელაციო კომისია:

1. ასოცირებული პროფესორი თეა ქოიავა-თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი სოფიკო ქვიტინიძე-მდივანი;
3. ასოცირებული პროფესორი ნატო ზოსიძე - წევრი.

*„2022-2023 სასწავლო წლისათვის ზოგიერთი სასწავლო კურსის განმახორციელებელი მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“*

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 12 სექტემბრის N01-02/221 ბრძანების

**დანართი 4**

## საკონკურსო და სააპელაციო კომისიების მუშაობის წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულება

საკონკურსო და სააპელაციო კომისიის მუშაობის წინამდებარე წესის მიზანია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“) საგანმანათლებლო პროგრამებზე 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის (ვაკანტური სასწავლო კურსების) წარმართვის მიზნით ღია კონკურსის წესით პერსონალის (მასწავლებელთა/სპეციალისტთა) შერჩევა.

### მუხლი 2. კომისიის შემადგენლობა და ფუნქციები

1. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება დეკანის წარდგინების საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.
2. კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება **არანაკლებ 3 წევრით,** მათ შორის კომისიის თავმჯდომარით და კომისიის მდივნით. დასაშვებია **სააპელაციო კომისიის** 2-წევრიანი შემადგენლობა. ხმების გაყოფის შემთხვევაში თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.
3. კომისიის ყველა სხდომა არის დახურული და კომისიის წევრები ვალდებულნი არიან დაიცვან კონფედენციალურობა და არ გაამჟღავნონ ინფორმაცია საბოლოო შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე.
4. კომისიის ფუნქციებია:
   ა) კონკურსის პროცედურის ორგანიზება დადგენილი წესის შესაბამისად;
   ბ) კონკურსანტების განცხადებების განხილვა და კონკურსანტებთან გასაუბრება (საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია მოითხოვოს კონკურსანტის მიერ საცდელი ლექციის ან ჯგუფში მუშაობის ჩატარება (შესასრულებელი დატვირთვის სახის შესაბამისად);
   გ) სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნა;
   დ) კონკურსის შედეგების წარდგენა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანისათვის, მისი საჯარო გამოცხადება ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და ბსუ-ს ვებგვერდზე, ბსუ-ს ვებგვერდის ადმინისტრირების წესის შესაბამისად;
5. კომისიის თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს საკონკურსო კომისიის მუშაობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა, საკონკურსო კომისიის სხდომების დანიშვნა, ჩატარების ადგილისა და დროის განსაზღვრა; სხდომებისათვის დოკუმენტაციისა

და მასალების მომზადების კონტროლი; სხდომების წარმართვა კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის საფუძველზე.

6. კომისიის მდივანმა **უნდა უზრუნველყოს:**

ა) კომისიის წევრებისათვის სხდომების დროისა და ადგილის შეტყობინება;
ბ) კომისიის წევრების საჭირო მასალებითა და დოკუმენტაციით უზრუნველყოფა;
გ) კომისიის მუშაობის ოქმების წარმოება და შესაბამისი საოქმო გადაწყვეტილებების ამ წესითა და კონკურსის გამოცხადების სამართლებრივი აქტის შესაბამისად საჯარო გავრცელება;
დ) კონკურსანტების გასაუბრების განრიგის შესახებ ინფორმაციის ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება და კონკურსანტების ინფორმირება;
ე) საკონკურსო კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის დავალებების შესრულება.

7. კომისია **უფლებამოსილია:**

ა) კონკურსანტს მოსთხოვოს მის მიერ წარმოდგენილ განაცხადში ან სხვა მასალაში მითითებული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების კომისიის მიერ დადგენილ ვადებში წარდგენა;
ბ) კონკურსიდან მოხსნას კონკურსანტი, თუ: წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეიცავს არასწორ ინფორმაციას; წარმოდგენილი დიპლომი არ შეესაბამება დასაკავებელი თანამდებობის პროფილს ან კომისიის მიერ დადგენილ ვადაში კონკურსანტმა არ/ვერ წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტები; არ გამოცხადდა ან უარი განაცხადა გასაუბრებაზე, ხოლო საკონკურსო კომისიის მიერ მოთხოვნილი საცდელი ლექციის ან ჯგუფში მუშაობის (შესასრულებელი დატვირთვის სახის შესაბამისად) ჩატარებაზე.

## მუხლი 3. კომისიის გადაწყვეტილებაუნარიანობა და სხდომის ოქმი

1. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრების უმრავლესობა. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში სხდომა ინიშნება სხვა დროს.
2. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, ხოლო კომისიის დასკვნას (გადაწყვეტილებას) ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.
3. კომისიის სხდომების ოქმებში უნდა დაფიქსირდეს:

ა) სხდომის თარიღი;
ბ) დამსწრეთა შემადგენლობა და დღის წესრიგი;
გ) საკითხის განხილვის მოკლე შინაარსი;
დ) სხდომაზე კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება.

4. შერჩეულ კანდიდატად ჩაითვლება კონკურსანტი, რომელსაც ხმას მისცემს საკონკურსო კომისიის წევრთა უმრავლესობა.
5. კომისიის სრული დოკუმენტაცია (კონკურსანტთა განცხადებები და დოკუმენტაცია და ოქმები), კონკურსის დასრულებისა და შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).